ხაშურის მოამბე

№17 (439) 29 აპრილი, ორშაბათი, 2024 წელი

ვნების კვირა დაიწყო

ვნების კვირა დიდი მარხვის ბოლო (აღდგომის წინა კვირა – 6 დღე) კვირიაკეს ჰქვია. რომელიც, ჩვენი უფლისა და მაცხოვრის – იესო ქრისტეს; ვნების, ჯვარცმისა და დასაფლავების მოგონებას ეძღვნება. ვნების კვირის წარმოშობა, დაკავშირებული არის მორწმუნე ქრისტიანთა სურვილთან - ქრისტეს ვნების (ტანჯვის) გახსენება კი, მარხვითა და ლოცვით აღინიშნოს.

შესაბამისად, ქრისტიანებმა მთელი ეს პერიოდი – მძიმე მარხვასა და ლოცვაში უნდა გაატარონ. ეს გლოვის დღეებია და ღვთისმსახურებსაც ტაძარში სამგლოვიარო, შავი სამოსი აცვიათ. ამ კვირიაკეში დაწესებული არის – მძიმე მარხვა.

ვნების შვიდეულის მარხვა განსაკუთრებით მძიმეა. წმინდა მოციქულთა მიერ – განწესებაში წერია: "უკეთუ ვინმე მოყვასთაგანი იპოოს მმარხველად კვირიაკესა, ანუ შაბათსა, თვინიერ ხოლო ერთისა მის (იგულისხმება ვნების კვირის შაბათი), განიკუეთენ, ერისკაცნი უზიარებელ იქმნან". გლოვის დღეებში – დედა ეკლესია მოგვიწოდებს, მკაცრად ვიმარხულოთ, განსაკუთრებით; პარასკევს და შაბათს. ვისაც ჯანმრთელობა ხელს უწყობს, აღნიშნულ დღეებში პურითა და მარილით, ხილითა და წყლით მარხულობს. საეკლესიო საკითხავებში მითითებულია, რომ პარასკევ დღეს მონასტერში ტრაპეზი არ დაეგება (ე.ი. ამ დღეს საზრდელს არ მიიღებენ).

ვნების შვიდეულის: ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს, წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიაში აღესრულება – პირველშეწირულის ლიტურგია. იკითხება ოთხივე სახარება. ეკლესია იხსენებს – მაცხოვრის ჯვარცმას და იგი, მგლოვიარედ მოელის ბრწყინვალე აღდგომის გამომხსნელ სიდიადეს.

თავისი შინაარსისა და საიდუმლოთა აღსრულების გამო, ვნების შვიდეულის ყოველ დღეს მართლმადიდებელმა ეკლესიამ – "დიდი" უწოდა.

* * *

განვიხილოთ, ვნების შვიდეულის (კვირიაკეს), მომდევნო ექვსი დღე.

1). დიდი ორშაბათი: დიდ ორშაბათს ეკლესია იხსენებს უნაყოფო ლეღვის გახმობას. ეს ლეღვი იმ იუდეველთა სახეა, რომელთა გულშიც იესო ქრისტემ ჭეშმარიტი ნაყოფი ვერ პოვა - იქ მხოლოდ კანონების მშრალი აღსრულება დახვდა. ამიტომაც, ამხილა ისინი და დაგმო. მაგრამ უნაყოფო ლეღვი ყველა იმ ქრისტიანის სულის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ ისხამს. ეკლესია დიდ ორშაბათს სწორედ სინანულისკენ მოგვიწოდებს.

2). დიდი სამშაბათი.

დიდი სამშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იგავს; ათ ქალწულსა და ტალანტებზე და გრძელდება – წმ. მათეს სახარების, ორშაბათს დაწყებული საკითხავი: იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით, წმინდა ეკლესია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მორწმუნეებს სულიერი სიფხიზლისაკენ, ჩვენთვის ბოძებული ნიჭისა და ძალების მართებული გამოყენებისაკენ, განსაკუთრებით კი მოწყალებისაკენ, რასაც უფალი პირადად მის წინაშე ჩადენილ ღვაწლად გვითვლის, როცა გვეუბნება: „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ" (მთ. 25,40).

3). დიდი ოთხშაბათი.

ოთხშაბათი, იუდას მიერ იესო ქრისტეს გაცემის დღეა. ოთხშაბათი ღამე მაცხოვარმა ბეთანიაში გაატარა. აქ, სიმონ კეთროვნის სახლში, იმ დროს, როცა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და უხუცესებს იესო ქრისტეს მოტყუებით შეპყრობა და მოკვდინება ჰქნოდათ გადაწყვეტილი, უცხო დედაკაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი ინახით მჯდომ მაცხოვარს უხვად დაასხა თავზე, რითაც, როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა, იგი დასაფვლელად მოამზადა.

აქვე, დედაკაცის უანგარო საქციელის საპირისპიროდ, უფალ იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთი მოწაფის, იუდა ისკარიოტელის უმადურ სულში ჩაისახა ბოროტი აზრი, თავისი მასწავლებელი და უფალი იუდეველთა უკანონო საბჭოსთვის მიეცა. ამიტომ, დიდი ოთხშაბათის საეკლესიო მსახურება განადიდებს იმ დედაკაცს, რომელმაც მაცხოვარს ნელსაცხებელი სცხო, იუდას ვერცხლისმოყვარეობასა და გამცემლობას კი კიცხავს და გმობს. დიდ ოთხშაბათს წყდება დიდი მეტანიები, რომელთაც ეფრემ ასურის ლოცვის: „უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო..." - დროს ვასრულებთ. პარასკევამდე ამ ლოცვას მხოლოდ მონაზვნები აღასრულებენ სენაკებში. ამგვარად, ეფრემ ასურის ლოცვა ყველიერის კვირის ოთხშაბათს იწყება და ვნების კვირის ოთხშაბათს სრულდება.

4). დიდი ხუთშაბათი.

იერუსალიმში დიდებით შესვლიდან მეოთხე დღეს, იესომ თავისი თორმეტი მოწაფე შეკრიბა და საბოლოოდ დამოძღვრა: "...ნუ იქნება თქვენ შორის ცილობა, ვინ უფრო დიდია, არამედ უდიდესი იყოს, როგორც უმცირესი და წინამძღვარი, როგორც მსახური... მე ვარ თქვენ შორის, როგორც მსახური, თქვენ კი ხართ ჩემს განსაცდელში - ჩემს გვერდით მყოფნი..." (ლუკა 22,24-30).

და რადგან უწყოდა, რომ მოიწია ჟამი, რათა განვიდეს ამიერ სოფლით, აღუთქვა მათ სასუფეველი ღვთისა.

დიდი ხუთშაბათის მსახურებაზე, იესო ქრისტეს მიერ მოწაფეთათვის ფეხთა დაბანას, საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას და იუდას მიერ მის გაცემას ვიხსენებთ. ეკლესიაში ამ დღეს; აღესრულება ბასილი დიდის წირვა, რომელიც სერობას იმის სამახსოვროდ უერთდება, რომ უფალმა ზიარების საიდუმლო სწორედ ამ დღეს, სერობის ჟამს, დაადგინა. სერობაზე "რომელნი ქერუბიმთას" ნაცვლად იგალობება – „სერობასა საიდუმლოსა შენისასა დღეს, ძეო ღვთისაო, ზიარებად შემიწყნარე".

სერობაზე მართლმადიდებელი ეკლესიის – მღვდელმთავრები ფეხთბანის რიტუალს ატარებენ: როგორც მაცხოვარმა დაბანა ფეხები სერობის დაწყებამდე თავის თორმეტ მოწაფეს, ასევე ბანს ფეხებს მღვდელმთავარი თორმეტ მღვდელმსახურს.

ასევე, დიდი ხუთშაბათის საღამოს სრულდება: დიდი პარასკევის ცისკარი, რომლის დროსაც, "თორმეტი სახარება" ანუ ოთხი სახარებიდან ამოკრეფილი – 12 ნაწყვეტი იკითხება. მათში იესო ქრისტეს ის ვნებებია აღწერილი, რომლებიც ჯვარცმამდე შეემთხვა, დაწყებული მოწაფეებთან მისი უკანასკნელი საუბრიდან საიდუმლო სერობაზე, დამთავრებული მაცხოვრის სხეულის იოსებ არიმათიელის ბაღში დაფვლით და მისი საფლავისთვის მცველების მიჩენით.

"თორმეტი სახარების" კითხვისას, მორწმუნენი ანთებული სანთლებით ხელში დგანან, რაც, ერთი მხრივ, ჩვენი მხსნელის მიმართ მხურვალე სიყვარულის გამოხატულებაა, მეორე მხრივ კი იმის ხსოვნა, რომ მაცხოვარს ღვთიური დიდება ვნების დროსაც არ დაუკარგავს.

(დასასრული II გვერდზე)

ვნების კვირა დაიწყო

(დასასრული)

ყოველი სახარების წაკითხვის შემდეგ სამრეკლოს ზარი იმდენჯერ ჩამოჰკრავს, რიგით მერამდენე სახარებაც იკითხება.

5). დიდი პარასკევი.

დიდი პარასკევი უფალ – იესო ქრისტეს ჯვარცმის დღეა.

პრეტორიუმის წინ, რომაელი პროკურატორის სასახლესთან შეკრებილი ხალხი იესოს ჯვარცმას ითხოვდა. სიკვდილამდე ნაწამები ქრისტე, რომელსაც თავზე ეკლის გვირგვინი დაადგეს, პილატეს შორიახლოს იდგა და განკითხვას ელოდა. გაუთავებელმა დაკითხვამ, ცემამ, ფურთხებამ და აბუჩად აგდებამ სასიცოცხლო ძალები თანდათან დაუშრიტა. იუდეის მმართველმა პილატემ არ იცოდა, რა ექნა. დანაშაულიც ვერაფერი წაუყენა, მაგრამ გამოსავალი იპოვა: ებრაული ტრადიციით, ხალხს ორი მსჯავრდადებულიდან ერთ-ერთი უნდა გაეთავისუფლებინა. ავაზაკ ბარაბასა და ქრისტეს შორის ხალხს არჩევანი უნდა გაეკეთებინა. ხალხი ყვიროდა - ბარაბა, ბარაბაო. იესო რა ვუყოთო, - კითხულობდა პილატე. ხალხი, რომელიც სულ რაღაც ექვსი დღის წინ იერუსალიმში შემავალ უფალს პალმის რტოებითა და „ოსანას“ შეძახილებით შეხვდა, გაიძახოდა, - ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი ეგაო. პასექის პარასკევის მეექვსე საათი იყო. პილატემ ხელები დაიბანა და სამსჯავრო სკამზე დაჯდა - „აჰა, თქვენი მეუფე, მე ბრალი არა მაქვს მაგ მართლის სისხლში“ (ლუკა 23,4), თქვენ იკითხეთო. გაბოროტებული ხალხი გაიძახოდა, - ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგისი სისხლიო (მათე 27,25).

ამ ადამიანებმა კი მისი წმინდა და უმანკო სხეული ორ ავაზაკს შორის ჯვარზე გააკრეს, ლურსმნით ხელ-ფეხი გაუხვრიტეს, წყურვილით გატანჯულს ძმარი და ნაღველი შეასვეს. მისი წმინდა სამოსი ურთიერთშორის გაიყვეს და დასცინეს.

იესომ ჯვრიდან დაინახა მტირალი დედა, შეებრალა და საყვარელ მოწაფეს, იოანეს, ჩააბარა: „დედაო, აჰა შენი ძე!“ ხოლო იოანეს უთხრა: „აჰა დედა შენი!“ (იოანე 19,26).

მეექვსე საათიდან მეცხრე საათამდე წყვდიადმა მოიცვა არემარე. მეცხრე საათზე მაცხოვარმა ხმამაღლა წარმოთქვა: „მამაო, ხელთა შენთა შევვედრებ სულსა ჩემსა“ (ლუკა 23,46) და სული განუტევა.

დიდი პარასკევის ღვთისმსახურება, იესო ქრისტეს ჯვარცმას, ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას იხსენებს. წირვა არ აღესრულება, რადგან ამ დღეს ცოდვებისაგან ჩვენს გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი შესწირა მსხვერპლად. სრულდება სამეუფო ჟამნი, რომლის დროსაც კვლავ იკითხება სახარება მისი ვნების შესახებ.

დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასფლავებას ეძღვნება და, ჩვეულებრივ, შუაღამისას, ორ საათზე აღევნილება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო ქრისტე. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი - “საფლავი“, საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე, დააბრძანებენ გარდამოხსნას, საგანგებოდ მოხატულ დიდ ქსოვილს, რომელზეც საფლავში მაცხოვარია ამოქარგული.

„მამაო ჩვენოს“ გალობის შემდეგ კი ტროპარის, „მშვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი შენი“, გალობით მღვდელმსახურები წმინდა ტრაპეზიდან, როგორც გოლგოთიდან, აიღებენ გარდამოხსნას, თავს ზემოთ ასწევენ, საკურთხევლიდან გამოასვენებენ, ტაძარში შემოატარებენ. ამის შემდეგ, სამღვდელოება და მლოცველები დიდ მეტანიას ასრულებენ გარდამოხსნის წინაშე და ეამბორებიან მას.

წმინდა გარდამოხსნა ტაძრის შუაგულში არასრული სამი დღის განმავლობაში რჩება - მაცხოვარი ხომ აღდგომამდე სამი დღე იყო საფლავში. სერობის შემდეგ, საღამოს, შესაძლოა მწუხრიც, ე.წ. ღვთისმშობლის გოდებაც, აღევლინოს.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა, როცა მოძღვრის კურთხევით მორწმუნეთაგან ზოგი მთელი დღის განმავლობაში არაფერს ჭამს, ზოგი კი პურისა და წყლის გარდა არაფერს იხმევს.

6). დიდი შაბათი.

დიდი შაბათის ღვთისმსახურება; იესო ქრისტეს ხორცით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება.

დიდიშაბათისღვთისმსახურებამართლმადიდებლურილიტურგიული ტრადიციის მწვერვალია. ეს არაა იესო ქრისტეს სიკვდილისა და დასაფლავების ისტორიული მოვლენების დრამატული გათამაშება ან სახარებისეული რიტუალური დადგმა. ეს ღვთისმსახურება ღრმა სულიერი წვდომაა მაცხოვრის იმ ქმედების მარადიულ არსში, რომლითაც მან კაცობრიობა იხსნა.

წირვის დამთავრების შემდგომ აკურთხებენ ღვინოსა და პურს მლოცველთა სანუგეშოდ და განსამტკიცებლად. ამას „მოციქულთა საქმეების“ კითხვა მოსდევს, რაც შუაღამიანის ლოცვამდე გრძელდება.

ამის შემდეგ, მორწმუნენი და ტაძრის მრევლი – სასოებით ელიან შუაღამის დადგომას, როდესაც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული იწყება.

ქრისტეს აღდგომის სიხარული უდიდესი სიხარულისა, რომლის მსგავსიც დედამიწის ზურგზე არც არის და არც შეიძლება იყოს.

ეს არის უსასრულო სიხარული: მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისა. ეს ის სიხარულია, რომელზეც თვით უფალმა თქვა: “უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მიგიღოს თქვენგან“ (იოანე 16,12).

ღმერთმა მოგმადლოთ, ნამდვილი და ღრმა სინანული – საცხოვნებელად სულისა!

მრავალი და ბედნიერი, ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული გაგთენებოდეთ!

ღმერთს ებარებოდეთ...ამინ! ...

ლევან ხარაბაძემ მუნიციპალიტეტის მერებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებს შეხვდა და მიმდინარე საკითხები განიხილა. შეხვედრას, ასევე, სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი და ადმინისტრაციის აპარატის უფროსი ქეთევან ციმაკურიძე დაესწრნენ.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა განიხილეს, ასევე საუბარი შეეხო რეგიონში დაგეგმილ ღონისძიებებს. მერების თქმით, სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და პროექტები დათქმულ ვადებში დასრულდება.

როგორც რეგიონის რწმუნებულმა შეხვედრაზე აღნიშნა, მნიშვნელოვანია, თითოეული განხორციელებული და დაგეგმილი პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე იყოს მორგებული, მსგავსი სახის სამუშაო შეხვედრები და კოორდინირებული მუშაობა კი საკითხების დროული გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა.

შეხვედრა შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრებ დევნილებთან

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორმა ზურაბ უტიაშვილმა და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ხარაბაძემ შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრებ დევნილებთან შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე სააგენტოს წარმომადგენლებმა იძულებით გადაადგილებულ პირებს, ის პროგრამები და პროექტები გააცნეს, რაც მათი განსახლებისა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მიმართულებით ხორციელდება. რეგიონის რწმუნებულმა კი იმ ინფრსტრუქტურულ და სოციალურ პროექტებზე ისაუბრა, რაც დევნილების პირობების გაუმჯობესების მიზნით რეგიონში მიმდინარეობს,

შეხვედრის მიმდინარეობისას ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილე დევნილების შეკითხვებს უპასუხეს და მათი საჭიროებები მოისმინეს. დევნილ ოჯახებთან მსგავსი შეხვედრები მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

სათივესა და სარმანიშვილისკარში სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების კენჭისყრის შედეგები ცნობილია

აღნიშნულ სოფლებში კენჭისყრის შედეგების შეჯამება დღეს, 22 აპრილს დასრულდა. ხმის დათვლის პროცედურას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, სამოქალაქო ბიუჯეტირების საბჭოს წევრები და დაინტერესებული მოქალაქეები.

მოქალაქეთა გადაწყვეტილებით შერჩეული პროექტები დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

სარმანიშვილისკარში წარდგენილ პროექტებზე ხმის მიცემა შეეძლოთ მხოლოდ სარმანიშვილისკარში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, ხოლო სათივეში წარდგენილ პროექტებზე ხმის მიცემა შეეძლოთ მხოლოდ სათივეში რეგისტრირებულ მოქალაქეებს. ხმის მიცემა სარმანიშვილისკარში და სათივეში ტრადიციული კენჭისყრის მეთოდით განხორციელდა.

გაგაცნობთ კენჭისყრის შედეგებს:

სარმანიშვილისკარში ხმათა უმრავლესობა - 48 ხმა მიიღო პროექტმა „ბეტონის გზის მოწყობა“. შესაბამისად, პროექტი დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

სარმანიშვილისკარში კენჭისყრაზე წარდგენილი იყო კიდევ სამი პროექტი - მინი სპორტული მოედნის მოწყობა, რომელმაც მხარდაჭერა ვერ მიიღო (0 ხმა). პროექტმა „შემოსასვლელი გზის რეაბილიტაცია“ 5 ხმა მიიღო, პროექტმა „სკვერის მოწყობა“ - 3 ხმა.

სათივეში ხმათა უმრავლესობა - 40 ხმა მიიღო პროექტმა „ჭაბურღილის

მოწყობა“. შესაბამისად, პროექტი დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

სათივეში კენჭისყრაზე წარდგენილი იყო კიდევ სამი პროექტი - სოფელში შემოსასვლელი ბეტონის გზის მოწყობა, რომელმაც 6 ხმა მიიღო. სანიაღვრე არხის მოწყობის პროექტს მხარი არავინ დაუჭირა (0 ხმა); ხოლო მინი სტადიონის მოწყობის პროექტმა მიიღო 3 ხმა. 5 ბიულეტენი ბათილად გამოცხადდა.

პროექტი სლოგანით „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.

გარდა სარმანიშვილისკარისა და სათივისა, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტი სოფელ ალშიც ხორციელდება, სადაც მოქალაქეებს სასურველი პროექტების მხარდაჭერა ელექტრონული გზით შეეძლებათ.

ხაშურის მუნიციპალიტეტი მადლობას უხდის ყველა მოქალაქეს, ვინც სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროექტის მიმდინარეობაში აქტიურად ჩაერთო. განსაკუთრებული მადლობა საპროექტო იდეების ავტორებს. იმედი გვაქვს, ისინი სამომავლოდაც აქტიურად ჩაერთობიან სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტში და წარმატებას მიაღწევენ.

მადლობა ყველა მოქალაქეს, ვინც კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო. თქვენი მხარდაჭერის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტისა და მოქალაქეთა თანამშრომლობას.

ცოტა რამ სოფელ ოძისის და მისი მოსახლეობის შესახებ

ოძისი ერთ-ერთი უძველესი სოფელია ჩვენს მუნიციპალიტეტში. უხუცესთა გადმოცემით, სოფელი, დაახლოებით, 700 წლის უკან დაარსებულა. ისტორიული მონაცემები მკითხველს შეუძლია მოიძიოს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელის თამაზ ლაცაბიძის ისტორიულ ნაშრომებში, სადაც აღნიშნულია, რომ მე-18 - მე-19 საუკუნეებში სოფელ ოძისში ცხოვრობდა სამასამდე ადამიანი. მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებში, მოსახლეობა ისე მომრავლდა, რომ, მცირემიწიანობის გამო, სოფლის გადასახლების საკითხიც კი დაისვა. გადმოცემით ვიცით, რომ სოფელმა საღვთო სუფრა გადაიხადა სოფლის ადგილზე დარჩენის თხოვნით, რა დროსაც მოხდა სასწაული და სუფრიდან განრიდებულ ქალბატონ მარუსას გამოეცხადა ზეციური არსება, რომელმაც მას უთხრა, გადაეცა ხალხისთვის, რომ სოფელს არ გადაასახლებენ. ქალბატონმა მარუსამ ხალხი მიიწვია გამოცხადების ადგილისაკენ, მაგრამ იქ აღარავინ ჩანდა.

იმდროინდელ სოფლის მოსახლეობის სიმრავლეზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მე-2 მსოფლიო ომში აქედან გაწვეული იქნა 74 ვაჟკაცი, რომელთაგანაც 38 უკან ვეღარ დაბრუნდა. სოფელ ოძისში აღიზარდა სახელმოხვეჭილი პარტიზანი გიორგი ტალახაძე, რომლის სახელიც მინიჭებული ჰქონდა იტრიის სკოლას. ოძისში აღიზარდნენ სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოს მფლობელები: ავიაციის პოლკოვნიკი შალვა აბაზაძე და ქვეითი ჯარების პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე.

სოფელ ოძისის სკოლაში სწავლობდნენ როგორც ოძისის, ასევე ცოცხნარის, ცივწყაროს, ცედანის, წაბლოვანის და ქემფერის ახალგაზრდები. ამ სკოლაში აღიზარდა აკადემიკოსი ბეგლარ გოგალაძე და ამჟამად საავიაციო უნივერსიტეტის რექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი სერგო ტეფნაძე. აღნიშნული რვაწლიანი სკოლა ამჟამად გაუქმებულია.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, კოლმეურნეობების დამსხვილების გამო, ხსენებული სოფლები შეუერთდა სურამის კოლმეურნეობას, რამაც გამოიწვია ოძისის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სურამის ახლომახლო ტერიტორიებზე ჩასახლება. ამის გამო, სოფლის მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა და ამჟამად შეადგენს თხუთმეტიოდე ოჯახს ორმოცდაათიოდე მაცხოვრებლის რაოდენობით. სამწუხაროდ, წინა საუკუნეებში მცხოვრებ გვართაგან, როგორიცაა: სიმონიშვილი, გოგიაშვილი, დვალიშვილი, დღეს სოფელში აღარავის ცხოვრობს.

მე-20 საუკუნემ სოფელში ახალი კაპიტალური სახლებიც წარმოქმნა და ნასახლარებიც. ამ პერიოდში, მომრავლდნენ შემდეგი გვარები: აბაზაძე, ბლიაძე, გელაშვილი, გოგალაძე, ტალახაძე, ლაბაძე, ბაიაშვილი, სალაღაია, ქათამაძე, ხაჩიძე, კიკნაძე, ნადირაძე, ტაბატაძე, ცხადაძე, კორკოტაძე, ქიმერიძე, თოთლაძე, რომელთაგანაც ამჟამად უმრავლესობა სოფელში სეზონურ ცხოვრებას ეწევა. ოძისელთა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ამ სოფელში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ მრავალშვილიანი ოჯახები, როგორიცაა:

სამსონი და ფეფუცა ხაჩიძეების ოჯახი, რომლებმაც აღზარდეს 9 შვილი: ჟენია, ეთერი, თამრიკო, ჟუჟუნა, ვახტანგი, რეზო, აბესალომი, გოგია, გერონტი.

ლადო და გრუნია ბლიაძეების ოჯახი - 6 შვილი: შურა, სიმონა, რეზო, თემური, ეთერი, იზო.

პავლე და საშა აბაზაძეების ოჯახი - 6 შვილი: რობერტი, თამაზი, კუკური, მელსი, ნანო, მზია.

ქიშვარდი და მაყვალა ხაჩიძეების ოჯახი - 6 შვილი: ლარისა, მთვარისა, ლერი, ალიკა, რაისა, ლამზირა.

დათა და მარო ხაჩიძეების ოჯახი - 6 შვილი: ონარა, გმირა, უსუპი, ქიშვარდი, როსტომი, ქეთო.

ვასილი და ოლინკა აბაზაძეების ოჯახი: 6 შვილი - ტურფა, ვალიკო, ლილი, ბანკულა, ჟენია, ციცო.

მიშა და შაშა ხაჩიძეების ოჯახი - 5 შვილი: ლილი, ნუნუ, ნუგზარი, ილო, გურამი.

სიმონ და თამარა გოგალაძეების ოჯახი - 5 შვილი: გულნაზი, ნაზიბროლა, მზაგული, გოგია, ლენა.

ლევან და მათიკო ხაჩიძეების ოჯახი - 5 შვილი: მევლუდი, ვაჟა, თამაზი, ძაბულა, მზიური.

ლადო და ჟენია გოგალაძეების ოჯახი - 5 შვილი: ნათელა, ლილი, მაყვალა, ციალა, ავთო.

თედო და საშა ქათამაძეების ოჯახი - 5 შვილი: ომარი, ვიტალი, დათო, მარინა, რუიზანი.

სტეფანე და ჟენია გოგალაძეების ოჯახი - 5 შვილი: უსუპი, ნელი, ნუნუ, ოთარი, ვასო.

ლავრენტი და თამარა ხაჩიძეების ოჯახი - 5 შვილი: ზალიკო, მერაბი, ნანული, ნარგიზა, ლამარა.

ღმერთმა ამრავლოს საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახები!

მადლობას მოვახსენებ ნაზი ბლიაძე-გოგალაძეს წერილში აღნიშნული მასალის გარკვეული ნაწილის მოწოდებისათვის.

რევაზ გრიგალაშვილი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3,#4 ,5,6,7,8,9,10,11,12,15)

ძულიაშვილების ახო – ადგ., ახო, სათესი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

წვერიანაშვილის მამული - ადგილი; დაფიქსირებულია ქაიხოსრო აბაშიძის 1792 წელს შედგენილ ანდერძში: ,,ჩხეიძისაგან ვიყიდე წვერიანასშვილის მამული“.

წვერიანასშვილის ბერიკელას მიწა - ადგ; იხ.პეტროზაული.

წინაწვერი – ადგ., სათესი დიდ ბეკამში. დასტურდება XVIII ს - ის საბუთში, რომლი მიხედვითაც მათიაშვილმა შოშიამ მღებარ დათუნას წინწვერზედ მიჰყიდა ხუთი დღის მიწა: ,,...ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ, მათიასშვილმან შოშიამ..., თქვენ მღებარს დათუნასა... დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო წინწვერზედ ხუთის დღის მიწა.ზეით ბერუკას მიწის მიდგმამდე, ერთის დღისა. აბაზაძის მიწის მიდგმამდი, იქით გზამდი და აქეთ პანტამდი“.

წინაწვერის კალო – ადგ., სათიბი.

წინაწვერის მინდორი – ადგ., მინდორი ბეკმის სასაფლაოსთან.

წინაწვერის სასაფლაო – ადგ., სასაფლაო პატარა ბეკამში.

ჭადრების წყარო - ადგ; წყარო.

ჭინჭარაულები - ადგ; სახნავი, სათესი. აქ 1866 წლის 8 აგვისტოს დიმიტრი ყიფიანმა თომა კიკაძეს მისცა ორი დღის მიწა: ,,რადგან ეს მიწა, ზომით სულ ორი დღისა, ჩემი ნასყიდი მიწის სამზღურებში აღმოჩნდა..., უსამაგიეროდ ჩამორთმევა არ ვინდომე და სხუა ორის დღის მიწა მივეცი თომასა და იმის ძმისწულს, - ტიმოთე კიკაძეებს, ჭინჭარაულის ბოლოზედ, ჩემსა და კნეინა თამარ ერისთავის მიწებს შუა...“.

ხეროდინაშვილის სოლომანის მიწა - ადგ; იხ. შოლა.

ხინჩაგაძეების უბანი – უბანი დიდ ბეკამში.

სოფელი ბიჯნისი

აბანო - ადგ., საძოვარი .

აბანოს წყარო – წყარო.

ბაბაკლდე – ადგ., ტყე. იგივეა, რაც წყალსადენის ტყე.

ბერის ტყე – ადგ., ტყე.

ბესანას ახო – ადგ., სახნავი.

ბესანას თავდაღმართი –ადგ., ტყე.

ბიჯნისის მთა - ადგ., მთა.

ბიჯნისის საკალმახე - ადგ; 1645 წელს როსტომ მეფემ იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიას შეწირა ,,სურამს ზეით ჩუმათელიძეები“, სადაც ჯერ კიდევ გიორგი IX – ის მიერ ,,...ორი კუამლი შემოწირული იყო და ახლა ის ჩუმათელეთი ჩუენ შემოგწირეთ სულა უკლებლად, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ტყითა, მინდვრითა, საძებრითა და უძებრითა, შესავლითა და გამოსავლითა ბიჯნისის საკალმახემდის, ფონის სამძღვრამდი, ქუცუმსაყდრამდი“.

ბიჯნისულა – მდინარე, ერთვის სურამულას იტრიასთან.

ბლიაძეების მიწები – ადგ., სახნავი.

ბუჩქატყე – ადგ., ტყე.

გადასახედი კლდე – ადგ., კლდე.

განი გზა – ადგ., გზა.

გიგაშვილების მიწები - ადგ., სახნავი.

გიგაშვილების უბანი – უბანი.

გიგაშვილების წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი.

გიგაშვილების წყარო – წყარო.

გიგოს ახო - ადგ., სახნავი.

გრაფფიტი//გრაფიტის ქარხანა – ადგ., ქარხანა, აქ გრაფიტის წარმოება იყო. დათვის მიწა – ადგ., ტყე. დათიკოს ახო – ადგ., სახნავი.

დევისხვრელი – ადგ., კლდე.

დევისხვრელის გზა –გზა.

დევისხვრელის სვანი – ადგ., სვანი.

დიდი სათიბის მიწები - ადგ., სათესი.

დუბის ღელე – ადგ., წყარო. უნდა მომდინარეობდეს დუბე - დან, რაც სულხან-საბას მიხედვით არის ,,დაბალი ადგილი“.

ეკლესიის მიწა - ადგ., სათიბი.

ვაკეები - ადგ., სათიბი.

ზაქარას ახო - ადგ., სახნავი.

ზედა უბანი – უბანი.

ზეკოტის გზა – გზა.

ზურაბას მიწები - ადგ., სათესი.

თალგამას წყარო – წყარო.

თედოს დიდი ვაკე – ადგილი.

თედოს ქიშმოლარი – ადგ., სახნავი.

თედოს წისქვილი – ადგ., ნაწისქვილარი.

თაფლას ხალა - ადგ., ყანა.

კინკიური – ადგ., სათესი.

კინკიურის ბილიკი - ადგ., ბილიკი.

კინკიურის მიწები - ადგ., სათესი, სახნავი.

კინკიურის სერი – ადგ., გორა სერი.

კინკიურის ღელე – ღელე.

კინკიურის წყარო – წყარო.

კორდები – ადგ., სათესი. ,,უნამუშავარო მიწა“.

კორდების ბილიკი – ბილიკი.

კორდის მიწები - ადგ., სათესი.

კორდების წყარო – წყარო.

კრია - ადგ., კლდე, სათესი. ,,მიწა ხშირად ქვიანი“.

ლექსოს ახო - ადგ., ახო.

ლომიძეების უბანი – უბანი.

მედიასეული - ადგ., მინდორი.

მიხეილის მიწა – ადგ., სათესი, საძოვარი.

მჭადიჭამია - ადგ., მთა.

ნაგუთნი მიწები – ადგ., სათესი, საძოვარი.

ნაკალოვარი - ადგ., საძოვარი.

ნარუჯი – ტყე.

ნარუჯის სვანი - ადგ., სვანი.

ნარუჯისერი - ადგ., სერი.

ნ ა რ უ ჯ ი ტყე - ადგ., ტყე.

ნასახლარები – ადგ., სათესი.

ნაფეტვარის ტყე - ადგ., ტყე.

ნაფეტვარის გზა – გზა.

ნაფეტვრის წყარო – წყარო.

ნაყიდები – ადგ., სათესი, სახნავი.

ნეკერჩხლის წყარო – წყარო.

ობოლი კლდე – ადგ., კლდე.

ორზიარები - ადგ., სათესი, სახნავი. ,,აქ ორი კაცი ზიარად მუშაობდა ნაკვეთში”.

ორზიარების წყარო – წყარო.

ორხევის მთა - ადგ., მთა, ტყე.

ორხევის გვირაბი – გვირაბი.

ორხევის გზა - გზა.

ოსია ბიჭების წისქვილი - ადგ., ნაწისქვილრი.

ოსიანების წყარო – წყარო.

ოსიას ახო – ადგ., ახო.

პავლეს კინკიური – ადგილი.

პავლეს მიწები - ადგ., სახნავი.

პავლესათიბი - ადგ., სათიბი.

პავლეს ჭაობი - ადგ., ჭაობი.

პატარა სათიბის მიწები - ადგ., სათესი.

პატიკების წყარო – წყარო.

რუსის ტყე - ადგ., ტყე.

სათალგამე - ადგ., სათესი.

სათიხე – ადგ., ტყე.

სათიხის მიწები – ადგ., სათესი.

საკირის მიწები – ადგ., სათესი.

საკიტრე – ადგ., სათესი.

საკიტრის ტყე - ადგ., ტყე.

სანახშირე – ადგ., ტყე.

საქასრია - ადგ., მთა, ტყე.

სოსიას ბილიკი – ბილიკი.

სოსიას მიწები - ადგ., სათესი.

სოსიას მიწების ღელე – ღელე.

სოსიას ნაწისქვილარი - ადგ., ნაწისქვილარი.

ტაბაკლდე – ადგ., კლდე.

ტაბაკლდის ჩანჩქერი - ადგ., ჩანჩქერი.

ტბა - ადგ., ტბა ორხევის მთაში.

ტარასის ახო - ადგ., ახო.

ტყემლის მიწები - ადგ., სახნავი .

ფიჭვნარი - ადგ., ტყე, სათესი.

ქესპარიების უბანი – უბანი.

ქიმშოლარის წყარო – წყარო.

შოშიასწყარო – წყარო.

ჩხეიძის ტყე - ადგ., ტყე.

ცივწყარო – წყარო.

ცივწყაროველების წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი.

ცენტოს მთა - ადგ., მთა.

ცივი წყალი – წყარო.

ძულიაშვილების წყარო – წყარო.

წრიპიპინასეული – ადგ., სათესი.

წყალობას წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი.

წყალსადენი - ადგ.,აუზები.

წყალსადენის ტყე - ადგ., ტყე.

ჭადიჭამია - ადგ., საძოვარი.

ჭადიჭამიას მთა - ადგ., მთა, გადასასვლელი ლიჩში, საჩხერის რაიონში. ჭადიჭამიას წყალი// ჭადიჭამიას ღელე - ღელე ჭადიჭამიას მთაშ.

ჭადიჭამიას წყალი – წყარო.

ჭაობები - ადგ., საძოვარი, სახნავი.

ჭენჭყობი - ადგ., საძოვარი.

ჭიღნარის ტყე - ადგ., ტყე.

ხბოს ღელე – ღელე.

ხბოს საყარი - ადგ., გორაკი.

ხრამი - ადგ., ხევი, სათესი. ,,კლდიანი ღრმა ხევი“.

ჯეგაძის წყარო – წყარო.

ჯეგაძის ღელე - ადგ., ტყე.

ჯიღას ღელე - ღელე.

სოფელი ბ უ ღ ა უ რ ა

აბაზაძეების გზა – გზა.

აკულოვის სახლი - ადგილი. აქ არის სანატორიუმი.

არჩილა კიკნაძის ბოგირი - ადგ., ნაბოგირალი.

ახოს მიწა - ადგ., სახნავი. ,,საყანური გაკაფული'' . ბაბალესეული მიწები - ადგ., სახნავი.

ბანაკის მიწები – უბანი.

ბიჯნისის გზა – გზა.

ბოგირის ღელე – ღელე.

გიგოს წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი.

გოსიო – ადგილი.

გორას წყარო – წყარო.

დათვის წყარო – წყარო.

დიმიტროვის სახლი - ადგილი, ბავშვთა სახლი გ. დიდმიტროვის სახელობისა.

ზეკოტას გზა – გზა.

ზემო სერი - ადგ., სერი.

თიბილაანთ უბანი – უბანი.

თხილის წყარო – წყარო.

კვირაცხოველი - ადგ., სალოცავი.

კიკნაძეების უბანი – უბანი.

კორკოტაძეების უბანი – უბანი.

კოტეს ახო - ადგ., სახნავი.

კოჩხერიები - ადგ., ნასახლარი.

კურტანიძეების უბანი – უბანი.

კურტანიძეების წყარო – წყარო.

ლადოს წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი.

ლადოს წყრო – წყარო.

ლაშხევი - ადგ., ხევი, უბანი. ადრინდელი სოფელი, სურამის ერთ-ერთი უბანი, მდებარეობს ამავე სახელწოდების ხევში, ბუღაურას ჩრდილოეთით. აქ ჩამოედინება პატარა მდინარე, რომელიც, ასევე, ლაშხევის სახელწოდებით არის ცნობილი. XVIII ს - ის პირველი ნახევრით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად ბლიაძე დათუნამ აქ ბლიაძე ბერუკას მიჰყიდა მიწის ნაკვეთი: ,,...ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ, ბლიაძე დათუნამა, მამამა ჩემა შიომ და ძმისწულმა ჩემა გიორგიმ და მოსიამა და ივანამა და მამავალმა სახლისა ჩემისამა შენა, ბლიაძეს ბერუკასა და დათუნასა და გიორგისა და პაპუნასა და თამაზასა და მამავალსა სახლისა შენისასა. ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩემგანაცა ნასყიდი მიწა ლაშიხევაში, ზომითა სამი დღისა. ზეით ქოჩორაძის მიწის მიდგმამდინა, ქვეით ტყემდინ, აქეთ ძიძიბაძის მიწის მიდგმამდინ, იქით ლაშიხევას სამძღვრამდინა“.

მდინარეს, რომელსაც ლაშხევი ჰქვია, მლაშეა, მარილიანია. აქედან არის მიღებული სახელწოდება ლაშხევი (მლაშე ხევი - მლაშხევი - ლაშხევი).

ამავე სახელწოდების უბანი მდებარეობს არმისული ცოცხნარასთან, ხელმარჯვნივ. აქ სახლობენ გვარები: გრიგალაშვილი, გოგალაძე, გელაშვილი, ჩადუნელი...

მოსეს წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი.

მუხის მიწები - ადგ., სათესი, სახნავი.

მუხნარი - ადგ., ტყე.

ნადენი//ნადელი//ნადელის მიწები - ადგ., სათესი.

ნაწისქვილარი - ადგილი.

ნარვანის ტყე - ადგ., ტყე.

ნიკას ახო - ადგ., სახნავი.

ნიკას ღელე - ადგ., ღელე.

ნიკას წყარო – წყარო.

ორხევის წყალი - მცირე მდინარე, გამოდის ორხევიდან და უერთდება სურამულას ბუღაურასთან.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

მე-9 საჯარო სკოლის წარმატება სასკოლო სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ტურნირზე

ხაშურის სასპორტო სკოლაში გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონული ტური მინი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალურ ტურში გამარჯვებული გუნდები.

წარმატებით იასპარეზა ხაშურის მე-9 საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა, რომელმაც დაიკავა 1 ადგილი ხოლო ამავე საჯარო სკოლის ვაჟთა გუნდმა დაიკავა მე-2 ადგილი.

წარმატებებს ვუსურვებთ გუნდებს მომავალ ასპარეზობებში.

საქართველოს ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალგაზრდა ლიტერატორთა კავშირის მიერ, 2024 წლის 23 იანვარს, მეხუთე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეებისათვის გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში, სახელწოდებით: „იქნებ ვაზია სამშობლო“, მონაწილეობდა სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ხაშურის მეცხრე საჯარო სკოლის მოსწავლე ქეთევან ნოზაძე საკუთარი თხზულებით. გამარჯვებულები სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა. გამარჯვებულ ავტორთა ორიგინალური ნაშრომები დაიბეჭდება ჟურნალში „სკოლა და ცხოვრება“ და გამოიცემა წიგნად.

გამარჯვებულთა შორისაა ქეთევან ნოზაძე. გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ ნიჭიერი ხაშურელი გოგონას საუკეთესო ორიგინალურ თხზულებას.

იქნებ ვაზია სამშობლო?!

22 ნოემბრის ზედმეტად ცივი და სუსხიანი დილა გათენდა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. გარეთ სულიერის ჭაჭანება არ იყო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა ამინდის უჟმურობასა და უნიათობას. ცივი ქარისა და თავაშვებული წვიმის გამო, ყველა თავს თბილ კერას მიჯდომოდა და გარეთ გახედვას არ აპირებდა.

ამინდის ასეთ კორიანტელში ქუჩაში გამოჩნდა ერთი სიფრიფანა, გამბედავი, რეზინისჩექმებიანი და თავისზე ბევრად დიდი ქურთუკით შემოსილი ,,ჭიამაია გოგონა'' ანუ მე, ქეთევან ნოზაძე...

ხატწერაზე მივდივარ...ახლა თერთმეტის ნახევარია, თერთმეტამდე მივალ როგორმე...გზა გაგრძელდა, წვიმამაც იმატა, ისე სწრაფად მივრბივარ, რომ მგონია ჩექმებიდან ვხტები, სიცივე ძვალსა და რბილში გამიჯდა... მომენტალურად გავიფიქრე, რომ არსებობენ პუნქტუალური ადამიანები, რომლებსაც მუდამ სადღაც მიეჩქარებათ, მაგრამ მაინც აგვიანდებათ...რაღა სხვას მივწვდი, ასეთი ხომ მე ვარ?

-გამარჯობა, მას!

-ქეთი, ასეთ ამინდში აქ რამ მოგიყვანა?-მეკითხება მასწავლებელი, რომელიც მოლბერტებით მოფენილ ოთახში მარტო იჯდა.

-სამწუხაროდ, დღეს მე ის როლი მაკისრია, იმედები რომ უნდა გაგიცრუოთ!-ჩავილაპარაკე ჩუმად, მაგრამ მასწავლებლის ღიმილმა მიმახვედრა, რომ მასაც გაეგო ჩემი ნათქვამი.

-ქეთი, დღეს მეტად საინტერესო თემას უნდა შევეხოთ!-მივხვდი, რომ ჩემი ხატწერის სალონში მისვლა დროული იყო და სმენად ვიქეცი...უკვე ვამაყობ საკუთარი თავით და შინაგანი ,,მე'' ქეთის აქებს.

-ქეთი, გიფიქრია იმაზე, რომ...იქნებ ვაზია სამშობლო?-გოგი მასწავლებელი თვალებში მომაჩერდა, სავარაუდოდ, მიხვდა, რომ ნათქვამმა დამაბნია.

-ვაზი?- რა შუაშია სამშობლო ვაზთან? ყურძნის მტევანი?-სად ყურძენი და სად ხატწერა?!

გონებაში კითხვები ისრებივით დარბოდნენ, მაგრამ პასუხი სადღაც ბნელ კუთხეში მიჩქმალულიყო და გზა ვერ გაეგნო. რაც არის, არის...ვიტყვი, რომ იდეების ბურუსი მქონდა და დავალება ამიტომ ვერ გავიგე...შემრცხვა საკუთარი თავის...გზად მომავალს მოსვენება დამეკარგა, ვეღარც სიცივე ვიგრძენი, ვეღარც თავაშვებული ცივი წვიმა...

მოულოდნელად თავში ბაბუას სახელმა გამიელვა. რამ დამავიწყა, ან რატომ ვერ მივხვდი, რომ ჩემი ბაბუა, რომელსაც წმ.ბარბარეს სახელობის ტაძარში ,,მამა პეტრეს ''სახელით იცნობენ, დღეს სადღესასწაულო ლოცვას აღავლენს ჩვენს პატარა ეკლესიაში.

ბაბუა, ჩემო ტკბილო და საიმედო ნავსაყუდელო, შენ ხარ ჩემი ნუგეში! შენ შეგიძლია ჩემი დახმარება, შენ შეგიძლია მირჩიო რამე!-ვფიქრობდი ჩუმად. ისევ იმატა ნერვიულობამ...რა უნდა მექნა, რომ ვერ დამხმარებოდა? იქნებ არც სცალია ჩემთვის?...იქნებ???...

მთელი გზა მტანჯავდა და სხეულის შიგნიდან მიღრღნიდა რაღაც ამოუცნობი, რაღაც იდუმალი და გაურკვეველი წარმოშობის შინაგანი ხმა...

,,იქნებ ვაზია სამშობლო?''-რატომ მაინცდამაინც ვაზი, ისევ ამომიტივტივდა ქვეცნობიერში...წვიმამ იმატა...დავსველდი, მაგრამ სიცივეს ვერ ვგრძნობდი... სახლს მივადექი, ინსტიქტურად მიმოვიხედე...როგორ მოვედი სახლში ისე, რომ ვერ მივხვდი? კარი დედამ გამიღო.

-ქეთი, კარგად ხარ? რა ფერი გადევს, ძალიან დასველდი? იცი, ნიკორთიდან (მამათა მონასტრიდან) ბაბუა ჩამოვიდა და ახლა ტაძარშია, ხვალ ხომ გიორგობაა და სადღესასწაულო ლოცვისთვის ემზადება!

სველი ჩანთა დივანზე მივაგდე, ქურთუკი შევიცვალე და ხმისამოუღებლად გავეშურე სახლთან ახლოს მდგარი ტაძრისაკენ. დამთხვევების არ მჯერა, სასწაულების კი...ქეთი, იჩქარე, არ დააგვიანო...სამრეკლოს ზარის ხმამ სასიამოვნოდ დამიარა სხეულში, მგონი რაღაცის თქმა უნდა...მგონი... ზარმა და სამრეკლომ მნათე ოქროპირი გამახსენა...ის ოქროპირი, რომელიც დიდი ხუთშაბათის დადგომას დანგრეული სამრეკლოდან ულოცავდა საქრისტიანოს...მოიცა, მგონი დავიწყე ამოცანის ამოხსნა, მთავარი დამრჩა საპოვნელი...მთავარი ...

ჩუმი ჭრიალით შევაღე ტაძრის კარი...სასიამოვნო სურნელი და სიჩუმე, ფრესკების წინ ანთებული კანდელებიდან სისპეტაკე იღვრებოდა...გავბედე და კარიდან საკურთხევლისაკენ გადავდგი ნაბიჯები...აქ არის...უფალმა დაგლოცოს და მოგმადლოს ლოცვის ძალა!-არასოდეს მითქვამს ბაბუასთვის ეს სიტყვები, მაგრამ ახლა მომინდა ხმამაღლა მეთქვა მისთვის...ჩემკენ არ მოუხედავს, მეც ოლიმპიური სიმშვიდით ველოდი მის შემობრუნებას...ის ლოცულობდა, ლოცულობდა მხურვალედ და მშვიდად, ლოცულობდა უფლის სადიდებლად...,,შენ ხარ ვენახი ახლად აყვავებული, მორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული, ალვა სურნელი, სამოთხესა მოსრული, ღმერთმა შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული და თვით მზე ხარ გაბრწყინებული''...

აქამდე როგორ ვერ მივხვდი?-,,შენ ხარ ვენახი''-ბაბუა, ჩემო ტკბილო, ჩემო სულო და გულო, ასე უსიტყვოდ როგორ ამომახსნევინე ეს ურთულესი ამოცანა?! ჩემი პასუხი ჩემგან ხუთი მეტრის დაშორებით იდგა და ისეთივე გულმხურვალედ განაგრძობდა ლოცვას, როგორც დაწყებისას...ბაბუ, ნეტავ იცოდე რა ბედნიერი ვარ, როცა შენ გისმენ, ოდესღაც შენ მითხარი, რომ შემთხვევით არაფერი ხდებოდა, არც ეს შემთხვევა იყო შემთხვევითი, მე ამის ღრმად მწამდა და მწამს...ვეღარ შევძელი ემოციის მართვა და დავუძახე:-ბაბუა!

-ქეთევან, გელოდი, ვიცოდი რომ მოხვიდოდი!

ერთი სული მქონდა როდის ჩამიკრავდა გულში...

-იცი, შენი დახმარება ძალიან მჭირდება, როგორ ფიქრობ, ბაბუ, შეიძლება ვაზი სამშობლო იყოს?

-ქეთევან, ამაზე ერთპიროვნული პასუხი არსებობს, მაგრამ უმჯობესია ეს შენ შეიგრძნო. აი, გამომართვი და მეც ინსტიქტურად ხელი წავატანე იმ ლოცვის წიგნს, რომელიც ცოტა ხნის წინ მას ჰქონდა გადაშლილი...ღვთისმშობელი ყრმა იესოთი და ხელში ყურძნის მტევნით...სასიამოვნო ნეტარებამ მომიცვა, ცრემლნარევი ღიმილი და ენით აღუწერელი ბედნიერება დამეუფლა...რა თქმა უნდა, კითხვაზე პასუხი მზადაა...ნელ-ნელა ტაძარი ახმიანდა... მედავითნემ თავისი ადგილი მონახა, მგალობლებმა ჩუმი ბგერებით დაიწყეს ღვთაებრივი გალობა... მედავითნეში ბებია შევიცანი, მგალობლებთან ახლოს დედა და დეიდები... არასოდეს მიგვრძნია ბედნიერება ისე ახლოს, როგორც ახლა...

კონტურები მოხაზულია, ფერებია შესარჩევი, ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს ბოქლომში გასაღები მოვარგე, გადავატრიალე და გავხსენი...

დილის წირვის შემდეგ ბაბუა დავიმარტოხელე და ,კიდევ გავუმეორე:-ბაბუ, მართლა ვაზია სამშობლო?

- ქეთევან, ამ თემას კითხვის დასმა არ შეშვენის, დღეს რომ სულისა და ხორცის სანკურნებლად მიიღე, რა გგონია, რა იყო ის?

- ღვინო და პური!

- ღვინო ყურძნისგან მზადდება, ყურძენი ვაზის ნაყოფია, ვაზი კი განუყოფელი ნაწილია ჩვენი ქვეყნისა და სარწმუნოებისა, როგორ ფიქრობ, განა ვაზი არ არის შენი სამშობლო , ღვთისმშობლის წილ-ხვედრი ქვეყანა?!

- რა თქმა უნდა...რამ დამაბნია, რამ შემაშინა და აქამდე რატომ ვერ მივხვდი, რომ ,,ვაზია ჩემი სამშობლო?!''ვაზივით ფაქიზი და მადლიანი, ვაზივით ძლიერი და მრავალსაუკუნოვანი, კულტურული და ღვთისნიერი...

თრიალეთის ქედი, რომელიც ჩვენს ქალაქს სამხრეთიდან აკრავს, წელიწადის ნებისმიერ დროს ულამაზესია.

ნიკა კახეთელიძის ფოტო

ლევან ნოზაძე - 15 წლის მოჭიდავე, რომელიც საქართველოს ორგზის ჩემპიონია

15 წლის ასაკში რომ ორგზის ჩემპიონი გახდები, რა გასაკვირია, რომ სპეციალისტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ? დიახ, ასეა სწორედ: ხაშურის საჭიდაო სკოლის აღზრდილი და და ჯერ კიდევ მოსწავლე ლევან ნოზაძე საქართველოს ორგზის ჩემპიონია კადეტებში. გასულ წელს ხომ პირველად იზეიმა ეს წარმატება, მეორედ - სულ ახლახანს, თავის მშობლიურ ქალაქში დაიცვა ეს ტიტული და ოთხი შეხვედრა ისე მოიგო, ეჭვის საბაბი არ დაუტოვა არავის. ფინალური შეხვედრაც სრული უპირატესობით წარმართა და თბილისელი მეტოქე 8:3 დაამარცხა.

ლევანი 45 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობს და ამ წონაში საქართველოს ნაკრების უცვლელი წევრია. მის მწვრთნელს, ცნობილ სპეციალისტს გია კვინიკაძეს, არაერთი შესანიშნავი სპორტსმენი აღუზრდია და ღრმად გვწამს, მის ხელში ლევანიც მრავალ წარმატებას მოიპოვებს. ახლა ლევანი, ნაკრების წევრებთან ერთად, ბაკურიანშია შეკრებაზე და რუმინეთში გასამართი საერთაშორისო ტურნირისათვის ემზადება (10 მაისი). ამას უკვე ევროპის ჩემპიონატი მოჰყვება (ივნისის ბოლოს - სერბეთში) და ბოლოს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი - მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც იორდანიაში გაიმართება (აგვისტოს ბოლოს).

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს, როგორი მონდომებულია იგი ვარჯიშებზე, როგორ დახვეწილად და სრულყოფილად ასრულებს ურთულეს ილეთებს, ყველა დარწმუნებულია, რომ ლევანის სახით ხაშურს მომავალი დიდი ჩემპიონი ეზრდება.

ღმერთმა ქნას, ასეც იყოს!

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.